



# ICRC

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის  
საკონსულტაციო სამსახური

## საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია: კანონიდან მოქმედებამდე

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი - ასევე წოდებული ომის სამართლად - დეტალურად განსაზღვრავს წესებს, რომლების მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების შემცირებისკენ. კერძოდ, ის იცავს მათ, ვინც არ ან აღარ იღებს მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში და განსაზღვრავს ომის წარმოების საშუალებებსა და მეთოდებს. თუმცა ამ შეთანხმებებთან მიერთება მხოლოდ პირველი ნაბიჯია. საჭიროა ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია წესების გადაქცევა მოქმედებად.

### რა არის იმპლემენტაცია?

ტერმინი იმპლემენტაცია მოიცავს ყველა იმ ზომას, რომლის მიღებაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს სათანადო ანგარიშს უწევდნენ. თუმცა საკმარისი არ არის ამ ნორმების მხოლოდ მაშინ გამოყენება, როცა ომი დაიწყება. არსებობს ზომები, რომლებსაც უნდა მიემართოს როგორც ომის მიმდინარეობისას, ასევე მშვიდობის პერიოდში. ეს ზომები აუცილებელია, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი:

- ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს იცნობენ როგორც სამოქალაქო პირები, ასევე სამხედრო პერსონალი;
- წესრიგშია სტრუქტურები, ადმინისტრაციული ღონისძიებები და პერსონალი, რაც საჭიროა კანონთან შესაბამისობისათვის;
- თავიდან არის აცილებული ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემთხვევები, ხოლო თუ ასეთს მაინც აქვს ადგილი, მათ სათანადო დასჯა მოჰყვება.

ამ ზომებს არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონი ნამდვილად სრულდება.

### ვინ უნდა მოახდინოს სამართლის იმპლემენტაცია?

ყველა სახელმწიფოს აქვს ცალსახა ვალდებულება, მიიღოს და გაატაროს ზომები ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციისათვის. ეს ზომები შეიძლება გაატაროს ერთმა ან მეტმა სახელმწიფო სამინისტრომ, საკანონმდებლო სუბიექტმა, სასამართლოებმა, შეიარაღებულმა ძალებმა ან სხვა სახელისუფლებო ორგანოებმა.

შეიძლება ჩართული იქნეს ასევე პროფესიული ან საგანმანათლებლო ორგანოები, ეროვნული წითელი ჯვრის ან წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება ან სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციები.

ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებთან დაკავშირებით ასევე გატარდა ზომები საერთაშორისო დონეზეც. შეიქმნა ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია და რეკომენდებულია, რომ მისი სამსახურით

ისარგებლონ სახელმწიფოებმა. რუანდასა და ყოფილ იუგოსლავიაში ბოლოდროინდელი კონფლიქტებისას გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ტრიბუნალები. 1998 წლის რომის სტატუტით შეიქმნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო.

თუმცა სწორედ სახელმწიფოები ატარებენ ძირითად პასუხისმგებლობას, ეფექტურად აღასრულონ სამართალი და მათვე უნდა მიიღონ ზომები ეროვნულ დონეზე.

### რა უნდა გაკეთდეს?

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, რომელიც მოიცავს 1949 წლის ჟენევის კონვენციებს, 1977 წლის დამატებით ოქმებს შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის თაობაზე, 1954 წლის ჰააგის კონვენციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და ამ უკანასკნელის 1999 წლის მეორე ოქმს, მიღებულ უნდა იქნეს მთელი რიგი ზომები. მათ შორის მთავარია შემდეგი:

1. კონვენციებისა და ოქმების თარგმნა ეროვნულ ენებზე;
2. მათ შესახებ ცნობიერების მაქსიმალურად ამაღლება როგორც შეიარაღებულ ძალებში, ისევე ჩვეულებრივ მოსახლეობაში;
3. დარღვევების თავიდან აცილება ზემოხსენებული ინსტრუმენტების მეშვეობით და იმგვარი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის დამტკიცება, რომელიც სასჯელს ითვალისწინებს ომის დანაშაულებისათვის;
4. იმის უზრუნველყოფა, რომ კანონით გათვალისწინებული პიროვნებები, საკუთრება და ტერიტორიები სათანადოდ იყოს განსაზღვრული, აღნიშნული და დაცული ;
5. ზომების მიღება წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარისა და კონვენციებსა და ოქმებში მითითებული სხვა სიმბოლოების მართლსაწინააღმდეგო გამოყენების თავიდან აცილების მიზნით;
6. შეიარაღებული კონფლიქტისას დაცული პირების სასამართლო და სხვა

ფუნდამენტური გარანტიებით უზრუნველყოფა;

7. საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში კვალიფიციური პირების - განსაკუთრებით კი შეიარაღებულ ძალებში იურიდიული მრჩევლების - დანიშვნა და მომზადება;
8. პირობების შექმნა, რათა შეიქმნას ან/და მოხდეს რეგულირება შემდეგი ორგანიზაციებისა:
  - a. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებები და სხვა ნებაყოფლობითი დახმარების საზოგადოებები;
  - b. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაციები;
  - c. ეროვნული საინფორმაციო ბიუროები;
9. სამხედრო ადგილმდებარეობის შერჩევისას და იარაღისა და სამხედრო ტექტიკის შემუშავებისა და გამოყენებისას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გათვალისწინება;
10. პირობების მომზადება საჰოსპიტლო, ნეიტრალური, უსაფრთხოებისა და დემილიტარიზაციის ზონების შესაქმნელად.

ხელშეკრულებათა ის დებულებები, რომლებიც მოითხოვს ამგვარი ზომების მიღებას, ჩამოთვლილია ქვევით მოყვანილ ცხრილში.

ამ ზომებიდან რამდენიმე მოითხოვს კანონმდებლობისა თუ რეგულაციების მიღებას, სხვები - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, პერსონალის შერჩევასა და/ან მომზადებას, პირადობის მოწმობებისა და სხვა დოკუმენტების გაცემას, სპეციალური სტრუქტურების მოწყობას და დაგეგმარების და ადმინისტრაციული პროცედურების გაცნობას მოითხოვს.

ყველა ჩამოთვლილი ზომა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოხდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეფექტურად განხორციელება.

### როგორ შეიძლება ამის გაკეთება?

ფრთხილი დაგეგმარება და რეგულარული კონსულტაციები ძირითადი პირობებია

ეფექტური განხორციელებისათვის. ამ მიზნით ბევრ სახელმწიფოს შექმნილი აქვს ჰუმანიტარული სამართლის ეროვნული კომიტეტები ან მსგავსი ორგანოები. ისინი აერთიანებს სამთავრობო სამინისტროებს, ეროვნულ ორგანიზაციებს, პროფესიულ ორგანოებს და სხვებს, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლობა და გამოცდილება ამ სფეროში.

ზოგ ქვეყანაში წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებები

შეიძლება ასევე გთავაზობდეთ დახმარებას იმპლემენტაციაში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკონსულტაციო სამსახურის მეშვეობით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი კონსულტაციებს უწევს მთავრობებს ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციაში. მასთან დაკავშირება შესაძლებელია წყსკ-ს უახლოესი დელეგაციის მეშვეობით ან ქვევით მითითებულ მისამართზე.

**მუხლები, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნულ დონეზე  
იმპლემენტაციისათვის განსაზღვრული ზომების მიღებას მოითხოვს**

	1949 წლის ვენევის კონვენციები				1977 წლის ოქმები		1954 წლის ჰააგის კონვ.	1999 წლის ოქმი
	პირველი	მეორე	მესამე	მეოთხე	I	II		
<b>თარგმანი</b>	48	49	41, 128	99, 145	84		26	37
<b>გავრცელება &amp; მომზადება</b>	47	48	41, 127	99, 144	80, 82-83, 87	19	7, 25	30
<b>დარღვევები</b>								
ზოგადი დებულებები	49-54	50-53	129-132	146-149	85-91		28	15-21
ომის დანაშაულები	49-54	50-51	129-130	146-147	11, 85-90			
კომპენსაცია					91			
<b>დაცვა</b>								
ფუნდამენტური გარანტიები		3, 12	3, 13-17	3, 27-34	11, 75-77	4-5,7		
სასამართლო და დისციპლინური გარანტიები პატიმართა და დაკავებულთა უფლებები	3	3	3, 5, 17, 82-90, 95-108, 129	3, 5, 31-35, 43, 64-78, 99-100, 117-126	44-45, 75	6		
სამედიცინო და რელიგიური პერსონალი	40, 41	42		20	15-16, 18	10, 12		
სამედიცინო ტრანსპორტი და მოწყობილობები	19, 36, 39, 42-43	22, 24-27, 38-39, 41, 43		18, 21-22	12, 18, 21-23	12		
კულტურული საკუთრება					53	16	3, 6, 10, 12	5
სახიფათო ძალები					56	15		
პირადობის მოწმობები	27, 40, 41, დანართი I	42, დანართი	17, დანართი IV	20	18, 66-67, 78-79, დანართები I & II			
დატყვევებისა და ინტერნირების ბარათები			70, დანართი IV	106, დანართი III				
ემბლემებისა და სიმბოლოების გამოყენება/მართლსაწინააღმდეგო გამოყენება	144, 53-54	44-45			18, 37-38, 66, 85, დანართი I	12	6, 10, 12, 17	
<b>ექსპერტები და მრჩევლები</b>								
კვალიფიციური პირები					6		7, 25	
იურიდიული მრჩევლები					82			
<b>ორგანიზაციები</b>								
ეროვნული საზოგადოებები	26			63	81	18		
სამოქალაქო დაცვა				63	61-67			
საინფორმაციო ბიუროები			122-124	136-141				
შერეული სამედიცინო კომისიები			112, დანართი II					
<b>სამხედრო დაგეგმარება</b>								
იარაღი/ტექტიკა					36			
სამხედრო ადგილსამყოფელი					57-58			8
<b>დაცული ზონები და ტერიტორიები</b>	23, დანართი I			14, 15	59-60, დანართი I			

